

პიონერი

საბჭოთავი
კომუნისტი



№ 6
1929

სახეცვლი

88



ჩვენს რედაქციას მოსდის პიონერებისა და მოწაფეებისაგან შეკითხვები, რაზედაც სურთ გარკვეული პასუხის მიღება. ამიტომ „პიონერის“ რედაქცია ამ ნომრიდან დროგამოშვებით უპასუხებს ამხანაგებს გამოგზავნილ შეკითხვებზე.

პიონერებო და მოწაფეებო! თუ რაიმე საკითხებში ვერ ერკვევით, წერილობით გვაცნობეთ და ჩვენც გიპასუხებთ.

პ ი თ ხ ვ ა

1. აქვს თუ არა პიონერს უფლება აგინოს ხელმძღვანელს?

ბავშვობრივი ნაკადი.

პ ა ს უ ხ ი

1. პიონერი საერთოდ არ უნდა იგინებოდეს, მით უმეტეს არ უნდა აგინებდეს თავის უფროს ამხანაგს. თუ ხელმძღვანელი ცუდად იქცევა, მისი გინება კი არაა საჭირო, არამედ მის შესახებ უნდა დაისვას საკითხი რაზმის საბჭოში. თუ ეს არ უშველის საქმეს, მაშინ საკითხი გადატანილ იქნეს კომკავშირის უჯრედში.

პ ი თ ხ ვ ა

2. რამდენი წელი ცხოვრობდა კარლ მარქსი? ლომიძე.

პ ა ს უ ხ ი

2. კარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს და გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს.

პ ი თ ხ ვ ა

3. მე გავიგე, რომ მომავალი ომის დროს ს. ს. რ. კ. ამერიკასთან კავშირი ექნება. მართალია თუ არა?

დიმიტრი სანიკიძე

პ ა ს უ ხ ი

3. ს. ს. რ. კ. საერთოდ ომის წინააღმდეგია, არავისთან არ დებს სამხედრო ხელშეკრულებას. კაპიტალისტური ქვეყნების ჩვენზე გამოლომჭრების დროს ს. ს. რ. კ. თავს დაიცავს. ამერიკა (ჩრ. ა. შ. შ.), რომელიც კაპიტალისტური ქვეყანაა, კი არ დაიცავს საბჭოთა ხელისუფლებას, პირიქით, დაეხმარება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ამიტომ მოგვიხდება თავის დაცვა ამერიკისაგანაც.

პ ი თ ხ ვ ა

4. კარგად იქცევიან თუ არა ბავშვები, როდესაც ერთმანეთს ზედმეტ სახელებს ეძახიან: „ელამი“, „ინდაური“, „დედალი“ და სხ.

ვანო საძაგლიშვილი.

პ ა ს უ ხ ი

4. სამწუხაროდ, ჩვენი ბავშვები ზედმეტი სახელებით სარგებლობენ იმისათვის, რომ შეურაცხყონ თავისი ამხანაგები, ამიტომ ნუ დავარქმევთ ჩვენს ამხანაგებს ზედმეტ სახელებს.

პ ი თ ხ ვ ა

5. აქვს თუ არა ხელმძღვანელს უფლება მოაშოროს პიონერები რაზმის იმისათვის, რომ ისინი ბანქოს თამაშობდნენ?

ვ. და ა.

პ ა ს უ ხ ი

5. პიონერის გამორიცხვა რაზმის საბჭოს დაუდგენლად ხელმძღვანელს არ შეუძლია. მაგრამ არც პიონერები უნდა თამაშობდნენ ბანქოს, ვინაიდან ეს უსარგებლო საქმეა. უნდა ამოირჩიოთ სხვა თამაშობანი (ქადრაკი, ნარდი და სხ.).

პ ი თ ხ ვ ა

6. რატომ ხდება, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც არ სცნობს რელიგიას და სარწმუნოებრივ დღესასწაულებს, დასვენების დღეებად სთვლის 25-26 დეკემბერს?

გრინბერგი.

პ ა ს უ ხ ი

6. საბჭოთა კავშირში არსებობს რელიგიური რწმენის თავისუფლება, ამიტომ საბჭოთა მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ანტირელიგიურ პროპაგანდას აწარმოებს, არ უშლის მორწმუნე მოქალაქეებს იუქმონ რელიგიური დღესასწაულები. და რადგანაც ჩვენი მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით გლეხობის ნაწილი, ჯერ კიდევ უქმობს ევრეთწოდებულ „შობას“, საბჭოთა ხელისუფლება 25-26 დეკემბერს დასვენების დღეებად სთვლის.

პ ი თ ხ ვ ა

7. როდის დაემხო თვითმპყრობელობა რუსეთში?

პ ა ს უ ხ ი

7. 1917 წლის 12 მარტს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

| | | | |
|---|-----|--|-----|
| 1. ოროცი წელი მუშათა კლასის სამსახურში—სანი | 88. | 7. გაზეთი | 88. |
| 2. მაჯარაჯა — ვ. თურული | 2. | 8. დამეგობრება—შ. ესებუასი | 10. |
| 3. შრომის კოლექტივი—ლექსი გ. კაჭახიძის | 4. | 9. პიონერული ლაშქრობა ლექსი—ა. ადამიასი | 11. |
| 4. სინათლისაკენ—ა. ჩაჩიბაიასი | 5. | 10. ჩემი პირველი შეხვედრა კობასთან—დ. თურდოს-პირელის | 12. |
| 5. პირველი კომუნა—ლექსი ი. ხოშტარიასი | 6. | 11. მეცნიერება და ტექნიკა | 14. |
| 6. მივხედოთ ოქტომბრელებს — ვ. ლ—ძის | 7. | 12. ფაშისტურ სკოლაში—გარეკანზე | |



მ ი ო ნ მ რ ი

1929

31 მარტი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-
უმის და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელ იწადი IV
№ 6

ორმოცი წელი მუშათა კლასის სამსახურში.

გლადიმერ ლენინის მეუღლე და მისი უახლოესი მეგობარი ნადეჟდა კრუპსკაია ბავშვების უდიდესი მეგობარია. იგი ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და არის.

ოქტომბრის რევოლუციის დღეებში კრუპსკაია მხურვალე მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების საქმეში.

ამჟამად ნ. კრუპსკაიას შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი. დიდი სიხარულით ვგებებამის იუბილეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა, ვინაიდან იმ სამოცი წლიდან, რომელიც მას შეუსრულდა, ორმოცი წელი ნ. კრუპსკაიამ მუშათა კლასის სამსახურის საქმეს შესწირა.



ანხ. ნ. კრუპსკაია.

ჯერ კიდევ 1891 წელს ის მუშათა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად მასწავლებლად დგება პეტროგრადის ერთ მუშათა უბანში. აქ ეცნობა იგი რევოლუციონურ მუშებს, მუშათა წრეებს, დაიარება მუშების ოჯახებში და ეცნობა მათ ყოფა-ცხოვრებას.

ამავე ხანებში პეტროგრადში რევოლუციონური მუშაობის საწარმოებლად ჩამოვიდა ამხ. ლენინი. მისი უშუალო მონაწილეობით გაერთიანდა მუშათა წრეები ერთ მთლიან კავშირში. ამ კავშირის დაარსებაში დიდ მონაწილეობას იღებდა ნ. კრუპსკაიაც.

ლი პროგრამა, რომელიც ბავშვებს აძლევს ყოველგვარ ცოდნას, რომელიც საჭიროა მუშათა კლასისა და გლეხობისათვის, მისი ბრძოლისა და აღმშენებლობისათვის.

ლენინის გადასახლების შემდეგ ანხ. კრუპსკაიაც თან წაჰყვა მას. გადასახლების ვადის შესრულების შემდეგ კრუპსკაია ამხ. ლენინთან ერთად მიემგზავრება ევროპაში რევოლუციონური მუშაობის გასაგრძელებლად.

კრუპსკაია მტკიცედ და ერთგულად ხელმძღვანელობს სახალხო განათლებას, ქვეყნის კულტურული დონის ამაღლების საქმეს.

ამ დროს ევროპაში დაიწყეს გაზეთი „ისკრას“ გამოცემა, რომლის მდივნობა ამხ. კრუპსკაიას დაეკისრა; იგი აწარმოებდა საზღვარგარეთიდან მიწერ-მოწერას რუსეთის მუშებთან და რევოლუციონერებთან, რითაც მეტად მნაშენლოვან საქმეს აკეთებდა; ის ლენინის მარჯვენა ხელი გახდა და მთელ თავის გამოცდილებას არა-ლეგალურ მუშაობას ანდომებდა.

იგი დიდი სიყვარულით და მზრუნველობით ეკიდება ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას, ეხმარება მას ყოველ საქმეში, წერს ხელმძღვანელ წერილებს, აკეთებს მოხსენებებს, კერძო მიწერ მოწერას აწარმოებს საბჭოთა კავშირის პიონერებთან და სხვა. მისი ღვაწლი ამ საქმეში დაუფასებელია, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ კრუპსკაიას სახელი იციან პიონერებმა და იგი მათთვის საყვარელი სახელია.


1915 წელს ის მონაწილეობას იღებდა ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ილაშქრებდა მსოფლიო ომის წინააღმდეგ და მოუწოდებდა მთელი მსოფლიოს მუშა-ქალებს იმპერიალისტური ომის და მცარცველების წინააღმდეგ.

ნ. კრუპსკაია ამჟამად სამოცი წლისაა და, მიუხედავად იმისა, რომ მან ორმოცი წელი რევოლუციონურ მუშაობაში გაატარა, დღეს ც დაუღალავად დგას რევოლუციონურ სადარაჯოზე.

ვუსურვებთ მას კიდევ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მოღვაწეობას ჩვენი სოციალისტური რევოლუციის სასარგებლოდ.

სანი.

მაჯარაჯა



I ოაზისამდე.

მაშინ ზაფხულის ბოლო თვე იყო.

ქაბულიდან მიმავალ აქლემების ქარავანს მიჰქონდა აბრეშუმი, მატყლი, სპილოს ეშვები, ბრინჯი, ნახები, ხმელი ხილი და ოქროსფერობა. ქარავანი დიდი იყო, ასი-ოდე აქლემისაგან შემდგარი. მოქარავნენი უმთავრესად მოგზაურობდნენ დილით, საღამოთი და მთვარიანი ღამით. შუადღისას კი ისინი ისვენებდნენ ოაზისებთან, რომლებიც აქა-იქ გაბნეულია ავღანელთა უდაბნოში. სავალი გზა გრძელი იყო: ქაბულიდან პეშავერამდე.

— აი, ალაპ, აი, ალაპ, როდის-ღა მივალწვეთ პეშავერს, ჯერ კიდევ ერთი კვირის სავალი გზაა! — გულშელონებით წარმოსთქვა ქარავანის წინამძღოლმა მოხუცმა მურზამ, როცა სიცხემ იმატა და აქლემებს სვლა გაუძნელდათ.

— ვის იცის, იქნებ ვერც მივალწვით, ასეთი საშინელი სიცხე მე არ მომსწრებია, სულისთქმა მიჭირს, უწყლობით ვიღრჩობი, ლამის მოვკვდე ამ ხრიოკ უდაბნოში! ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! ჩვენ აქ მზისგან გადამწვარ მიწაზე ვიტრუსებით, ისინი კი განცხრომაში არიან, — ჩაილაპარაკა მურზას უფროსმა ვაჟმა რიჯამ და აქლემს შემოჰკრა აქლემისავე ტყავისაგან გაკეთებული მათრახი.

— ალაპს რას აყვედრი, ალაპმა დააწესა ჩვენი ტანჯვა და ხანების ბატონობა, ალაპი მაღალია, ალაპი მოწყალეა, — შეუტია მოხუცმა მურზამ და დააცქერდა სიცხისაგან გადახრუკულ მიწას, რომელსაც აჩნდა მიმავალი აქლემების კვალი და შორს წაქცეული ჩრდილი.

— შენ რა გიჭირს, მთელი შენი სიცოცხლე აქ გავიტარებია, შეჩვეული ხარ უდაბნოს ჭირსა და მზის მხურვალეობას...

— აი, გამიტარებია და შენსავით არ ვწუწუნებ, — დაასწრო მურზამ, — შენც ხომ არ მოხუცებულხარ, გამაგრდი, რა გემართება! ისე იქცევი, თითქოს ასეთი სიცხე პირველად გენახოს. ორი წელია, რაც სამოგზაუროდ არ წამომიყვანიხარ და არ იცი რა ჰქნა. გამაგრდი, ალაპი არის ჩვენი შემწე, საცაა ოაზისის მივალწვეთ და იქ დავისვენებთ, ხუთიოდე მილი დავგოჩენია, გული ნუ გავიტყდება, ოცი წლის ვაჟკაცი ნუთუ ასე უნდა მოგტეხოს სიცხემ? შენი უმცროსი ძმის ალიმის რატომ არა გრცხვენია მაინც, ის ხომ პირველად მოგზაურობს ამ უდაბნოში, ის ხომ ბალღია, გამოუცდელი!

— არა, მე სიცხის არ მეშინია, — შერცხვა რიჯას და თავის მართლება დაიწყო, — მე ის ამბები მაშინებს, ერთხელ რომ მომიყევი, დღედაღამე მაგონდება შინვარე-

ლები. ისინი ნუთუ მართლა ავაზაკები და ასე საშინელი ხალხია?

— აჰა, ეხლა კი მიგიხვდი გულის ტკივილს, — წაილულულა მურზამ, თითქოს რაღაცა ამოიკითხა რაჯას თვალეზე, — შინვარელები შენ კი არა, მეც მათეჭრებს. მთელ ავღანისტანში ისინი ცნობილი არიან გაუგონარი ავაზაკობით; ვაი თუ ეხლაც გაუწყრესთ ალაპი და თავს დაგვესხან ამ მიუვალ უდაბნოში. სიკვდილს ვინ ჩივის, თუმცა სიკვდილიც მენანება აქ, რა ეშველება უბატრონოდ დატოვებულ ჩვენს ოჯახს, თუ ამ უდაბნოში დავლიეთ სული. ჯელილ-ხანი ხომ აიკლებს ყველაფერს, ხომ გაგვიყიდის ცოლშვილს, მიწაწყალს? ანდა როგორ გაინაღლებს ამდენ ქონებას, რომელიც ასიოდე აქლემით ძლივლა მიგვაქვს პეშავერში?!

— ჯელილ-ხანის ქონებას ვინ ჩივის, ოღონდ ცოცხლები დაგვტოვონ შინვარელებმა. ამბობენ, ისინი ყველაზე უფრო მეომარი და გულადი ხალხია მთელს ავღანისტანშიო, — სთქვა რიჯამ.

ოაზისამდე გრძელდებოდა შინვარელთა ავაზაკობის შესახებ ბაასი. თხუთმეტი წლის ალიმი ტვირთიან აქლემზე გადამჯდარიყო. ის გულმოდგინედ ისმენდა ყოველივეს და სწუხდა, რომ ქარავანს გასავლელი ჰქონდა შინვარელთა მხარე და ისე უნდა მისულიყო პეშავერში.

სიცხე უფრო ძლიერდებოდა... მზე თანდათან მაღლდებოდა და შუადღის პირზე დგებოდა... ქარავანი პეშავერისაკენ მიდიოდა. გავლილ სივრცეში მტვერი ირეოდა...

II. პალმების ქვეშ.

შუადღისას ქარავანმა ოაზის მაჯარაჯას მიადწია. ქარავანი შეჩერდა. აქლემებს ჩამოხსნეს ტვირთი. მოქარავნეებმა დაისვენეს პალმების ქვეშ.

მაჯარაჯა პატარა ოაზისია. მოგზაური ავღანელები მას „უდაბნოს თვალს“ უწოდებენ და ალაპის წყალობად სთვლიან. მაჯარაჯა მას ძველი დროიდანვე ჰქვია. პალმების ძირას იქ წყაროა. მრავალი მოქარავნის გული გაუგრილებია იმ წყაროს. მოგზაურებს უყვართ მაჯარაჯა.

— ეხლა რას იტყვი, რიჯა, კიდევ დაიწყებ წუწუნს? — შეეკითხა მურზა.


რიჯამ ღიმილით გადახედა, თვალებით აუწყა კმაყოფილება და ყალიონს მოუკიდა.

— რიჯა ასე მოიღალა, მე კი სრულიად არ მიგრძენია დაღლილობა, — თამამად წარმოსთქვა პატარა ალიმმა და ჩუმად დაიწყო მურზას ყალიონიდან გამოსული კვამლის რგოლების თვლა.



— შენ რა გაქვს სადარდელი, თხუთმეტი წლისა ხარ; მე კი სამოცდაცხრა წელი მადევს მოხრილ ბეჭებზე. რა ჩემი საქმეა ეხლა აქ მოგზაურობა, მაგრამ რას იზამ! ძნელია ქაბულელი ვაჭრებისაგან თავის დაღწევა. მეუბნებიან: „შენს მეტს ვერავის ვანდობთ ჩვენს ქონებას, ქარავანს შენ უნდა გაუძღვე პეშავერამდე“. არც სხვა მოქარავენე მოგზაურობს უჩემოდ. ასე ჰგონიათ, თითქოს გზას ვერ გაიგნებენ, მე თუ არ გავყვევი. მოგზაურობაზე უარის თქმას ვინ იტყოდა წინად, მაგრამ ეხლა მეტი გზა არ არის: ცუდია მოხუცებულობა! შენოდენა რომ ვიყავი, ყველაფერი მიხაროდა, ხანდახან მთელი თვეებით მიხდებოდა მოგზაურობა. არაფერზე არ ვწუხდები; ამ უდაბნოში ჩემი საუკეთესო მეგობარი აქლემი და თოფი იყო.

- თოფი რად გჭირდებოდა?.. გაიკვირა ალიმმა.
- რად და ავაზაკების წინააღმდეგ. შინვარელებ-



ერთი თვის შემონახული.

მა არ იციან მოგზაურთა პატივისცემა. ძალიან ძნელია გაუძარცვავად გასვლა მათ მიწაწყალზე. ისინი თავს ესხმიან მექარავენებს, ართმევენ აქლემებს, იტაცებენ ყველაფერს. ვაი იმას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს შინვარულ ავაზაკებს. ვინ იცი, რამდენი კაცის სისხლი დაქცეულა აქ, რამდენი ვაჟაკი დაცემულა მათ მიერ გასროლილი ტყვიით, — გულისტკივილით ამბობდა მურზა.

— განა მხოლოდ ჩვენიანებს ესხმიან შინვარელები? — იკითხა ალიმმა.

— არა, ინგლისელებსაც. ამ ათეული წლის წინად ისინი თავს დაესხნენ ინგლისის ჯარს პეშ-ბულაკში. მრავალი თეთრკანიანი ამოხოცეს, სამხედრო იარაღები წაიღეს, მთელი ქალაქის მოსახლეობა გაძარცვეს. ინგლისელებმა მალე უშოვეს დრო და სამაგიერო გადაუხადეს; გამოგზავნეს დიდძალი ჯარი და ცეცხლს მისცეს შინვარელთა სოფლები. შინვარელები მაინც არ დაცხრენ. ისინი ეხლაც განაგრძობენ ძარცვა-გლეჯას. ინგლისელები ყუმბარებს უშენენ ჰაერობლანებიდან, მათ კი არაფრის ეშინიათ. შინვარელები გულადები არიან. ამ ბოლო ხანებში ინგლისელები და შინვარელები დამეგობრდნენ სხვადასხვა მოსაზრების გამო. — ამბობდა მურზა.

— შენს ქარავანს ჯერ თავს არ დასხმიან შინვარელები? — ისევ იკითხა პატარა ალიმმა.

— ერთხელ მხოლოდ. მაგრამ ვერაფერი წაიღეს. ეს მოხდა ამ ოციოდე წლის წინად. ჩვენი ქარავანი მაშინ ორასი აქლემისაგან შესდგებოდა. სულ ვიყავით სამოცი მოქარავენე, ყველანი შეიარაღებულნი. სასტიკად შევებრძოლეთ შინვარელებს. ჩვენი ხუთი კაცი მოკვდა და ცხრა

დაიჭრა. მათი მოკვდა მხოლოდ ორი კაცი და ხუთი დაიჭრა. ისინი ცხენებით იყვნენ; შეატყეს თუ არა, რომ ვერაფერს წაიღებდნენ, მაშინვე გაიქცნენ. მეც დავიჭერი იმ შეტაკების დროს, მაგრამ ალაჰმა მე მიწყალა, ილბალზე გადავარჩი, — დამთავრა მურზამ და ისევ გააბოლა ყალიონი.

სალამომ მოატანა. მზე გადაიხარა ბრინჯაოს მთებზე. მოქარავენებმა აქლემებს აკიდეს ბარგი და მაჯარაჯა დასტოვეს. იარეს მთელი ღამე, მთელი დღე, მთელი კვირა. გზაზე თავს არ დასხმიან შინვარელები. დილით ჩავიდნენ პეშავერში.

III. ჯელილ-ხანი.

პეშავერი ინდოეთის საზღვრებთან მდებარეობს. ის ავღანისტანის მთავარი სავაჭრო ქალაქია. აქ მდიდრდებიან და ღარიბდებიან ქაბულელი ვაჭრები, სუქდებიან ინგლისელები. ავღანისტანში აქედან შეაქვთ უცხოეთში დამზადებული საქონელი, ხოლო უცხოეთში გააქვთ ბრინჯი, ნოხები, აქლემის ტყავები, აბრეშუმეულობა, მატყლი, ხმელი ხილი და სხვა. ინდოეთ - ავღანისტანის ვაჭრობის გასაძლიერებლად, უფრო კი ავღანისტანის ხელში ჩაგდების მიზნით, ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლისელებმა იქრკინისგზა გაიყვანეს. ხაზი გრძელდება ქალენდინ-ხანემდე და შეერთებულია ინდოეთთან. პეშავერი პატარა ქალაქია, უმთავრესად დასახლებულია ავღანელი და უცხოელი ვაჭრებით.

ადრიან დილით შევიდა ქარავანი ქალაქში. აქლემებს მოხსნეს ტვირთი. პეშავერის ვაჭრებმა თავ-თავისი საქონელი ჩაიბარეს. აქლემებმა მოედანზე წამოიჩოქეს, ცოხნას უმატეს.

— მურზა, აი, მურზა! — ხმამალა მიმართა ჯელილ-ხანმა, — რად დაავიანდა ქარავანს? მე გუშინ დილით გამოვედი ქაბულიდან და დღეს უკვე აქა ვარ. შენ კი ერთი კვირაა გზაში ხარ და ძლივს-ლა გელირსა მოჩანჩალება.

— სიცხეები იყო, ბატონო, აქლემებს სვლა გაუძნელდათ. ზურგით ხომ ვერ წამოვიღებდით ამოდენა ტვირთს, — ლმობიერად მიუგო მურზამ, მაგრამ მაინც ვერ ჰოიგო ჯელილ-ხანის გული.

ჯელილ-ხანი ქაბულელი ვაჭარია, ცნობილი, მდიდარი, ოქრო ვერცხლით სავსე. ცხრაშეტი ცოლი ჰყავს. ვაჭრობს აბრეშუმს, მატყლს და ნოხებს. საქონელს მხოლოდ მურზას ანდობს ქაბულიდან პეშავერში გადასახიდავად. იცის, რომ მურზა საქმის ერთგულია, საქონელს უკლებლივ ჩააბარებს; თუ ავაზაკებმა მოუნდომეს წართმევა, თავს შეაკლავს და არ დაანებებს. ჯელილ-ხანი ღიდი ხანია იცნობს მურზას; მას ის არასოდეს არ ესალმება, მონად სთვლის. მეტად მცირე გასამრჯელოს აძლევს საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვაში.

მურზა მაინც მადლიერია მისი, სწუხს მოხუცებულობაზე, მუხლისა და მკლავის სისუსტეზე. ეშინია შინვარელების თავდასხმის. წინად კი კარგი ვაჟაკი იყო. ეხლა კი რა შეუძლია, ღონე გამოელია. თვალმაც უმტყუნა, ნიშანში ვერ არტყამს ვასროლილ ტყვიას. თოფის დაკავებაზეც ხელი უკანკალებს. მოსწყინდა ამდენი მოგზაურობა. ჯელილ-ხანისთვის მას ბევრჯერ უთქვამს უარი ქარავანის წინამძღოლობაზე, მაგრამ შეშინებია და მაინც

უკისრი-მოქარავენთა თაოსნობა. იცის ჯელილ-ხანის მკაცრი ხასიათი: თუ გადაემტერა, არ გაახარებს, მტრობას კი მოგზაურობა ურჩევნია.

ქარავანის ჩასვლას პეშავერში ჯელილ-ხანმა ერთი დღით დაასწრო. მასთან ერთად იმოგზაურა რამდენიმე ვაჭარმა. ქაბულიდან გადაფრინდა ინგლისელების ჰაეროპლანით. საქონელი ქაბულშივე მიჰყიდა პეშავერელ ვაჭრებს. ქაბულში წასაღებად პეშავერში შეიძინა ფეხსაცმელები, ჭურჭლეულობა, ნავთი, ასანთი და ბევრი ისეთი რამ, რაც არ მზადდება ავღანისტანში.

სამი დღის შემდეგ ჯელილ-ხანისა და სხვა ქაბულელი ვაჭრების საქონლით დატვირთული აქლემები ქაბულისაკენ გაემგზავრენ. გამგზავრების წინ ჯელილ-ხანმა უთხრა მურზას:

— ოთხ დღეში უნდა ჩახვიდე ქაბულში; არ დაიგვიანო, თორემ სანანებლად გავიხდება საქმე.

— ვეცდები, ვეცდები, ალაჰი მოწყალეა, — თავდახრით უპასუხა მურზამ და გამოემშვიდა ოქრო-ვერცხლით გამსუფუბულ ჯელილ-ხანს,

კარგი მოარული აქლემისათვის პეშავერიდან ქაბულამდე უკან დაბრუნებით ათი დღის სავალი გზაა, მოქანცულ აქლემს კი ორი კვირა სჭირდება. მურზამ ეს კარგად იცოდა, მაგრამ შიშით ვერ მოახსენა ჯელილ-ხანს. ანდა როგორ ეთქვა, თუ ჯელილ-ხანი საშინელ რისხვას დაატეხა თავზე?!

ქარავანი გაემგზავრა... ჯელილ-ხანი კიდევ რამდენიმე დღე დარჩა პეშავერში, მოაგვარა თავისი სავაჭრო საქმეები და ერთი კვირის შემდეგ ჰაეროპლანით გაფრინდა ქაბულისაკენ. ქაბულში მეტად სამწუხარო ამბავი ამოიკითხა ფადიშაჰ ამანულა ხანის გაზეთ „ამან და ავღღან“-ში. გაზეთში ეწერა:

„ავაზაკ ბაჩა-საკაუს რაზმებმა გაძარცვეს ქაბულისაკენ მიმავალი ქარავანი. რვა მოქარავენე მოკლულია. შემთხვევით გადარჩა ორი კაცი. მათი ვინაობა გამოურკვეველია“.

(გაგრძელება იქნება)

ვარლამ უურული

შრომის კოლექტივი

წელს ზამთარში ძლიერ ხშირად შევიყრიდით თავს ბავშვები და სიამეს ვგრძნობდით უფრო სხვადასხვაგვარ თამაშობით.

ასე ერთხელ, როცა ყველამ გავაკეთეთ პაწა ტივი, მე უეცრივ დამეზადა აზრი შრომის კოლექტივის.

სიხარულმა ამიტაცა და შევძახე: - პატარებო, ვცადოთ, ჩვენი სიხალისე საქმეშიაც გავატაროთ.

ცხადად ვხედავ, გართობის მხრივ თანხმობაა დღეს ჩვენ შორის... ეხლა უნდა შევკავშირდეთ გართობასთან მტკიცე შრომით.

მართალია, ვერ მივწვდებით გასივრცებულ პურის ყანებს, მაგრამ მცირე გარჯითაც კი ერთად შრომას შევიყვარებთ.

მე აქ ასე ვამჯობინებ: გავაშენოთ სადმე ბაღი და შიგ მარჯვედ ვახეაროთ ხეხილები მრავალგვარი.

ეხლა სურვილს ვერ ვაკავებთ, სანერგე და თესლი მზად გვაქვს, მხოლოდ ვუცდით გაზაფხულით გადმოსროლილ მზიან დღე-დარს.

მხარი მხარზე გადავასკვნათ, სიმამაცით ოფლი ვღვაროთ და საერთო მონაპოვრის სინოყივრით გავიხაროთ.

ვიკამათეთ და ბაასში აზრი ყველამ მომიწონა. აქ საჭირო გახდა მხოლოდ მიწისათვის მცირე ბრძოლა:


მამა თხოვნით ვინახულეთ, თხოვნა მან არ შეიწყნარა, მაგრამ ჩვენსკენ დაიხარა გამოცდილი დედის ძალა:

სიმხნე მოგვცა, დაგვაყენა გაუტეხელ მთლიან რაზმად. მაშინ მამამ სამუშაოდ ბოსტნის კუთხე გვითავაზა.

სიცივეს არ შევუშინდით, შევუტიეთ თოვლს და წვიმებს, და საბაღეს ზედაპირი რკინის ფოჩხით გადავწმინდეთ.

დაგვეკარგა დაღლის გრძნობა, დავარღვიეთ მიწა ბარით, და ბელტებს კი დაეუფლა სიფხვიერით ყინვა-ქარი.

გიორგი კაჭახიძე.



სინათლისაკენ

ღამის უდაბურებაში ბრწყინავდენ მიბუთული ჭრატები.

ორგვლივ ბნელი იყო, რის გამოც საგნებს ერთმანეთისაგან ვერც კი გაარჩევდით.

მხოლოდ მორუბულულ ცის ნახევარზე ალაგ-ალაგ გამოკრთებოდნენ ლიმონის ფერი ვარსკვლავები და ქრებოდნენ წუთშივე, ეს იმიტომ, რომ ღრუბლები აღმოსავლეთისკენ განუწყვეტლივ მიფორთხავდნენ...

ამ ბნელიდან მოისმოდა მდინარის შუილი და გზად დარჩენილი ურმის ჭრალი.

ქარი განუწყვეტლივ ზუოდა გაძარცულ ფიჭვებში და მარიამის ავადმყოფ გულს უფრო მეტად აწუხებდა...

გუთა კერასთან იჯდა თავის მეგობარ ვლასთან ერთად და საუბრობდნენ...

ტკრცილებდა ფიჩხები და ცეცხლის ენები სისინებდნენ ისევ და ისევ...

— დედი, სად არის ბაბა ამ ღამეში? — შეეკითხა გუთა დედას.

— აბა რა ვიცი, შვილო! ალბათ წაყვებოდა ვისმეს ბეჩუ ხარბედიას ღუქანში და გაიღეშებოდა...

— ეს პირდაპირ უბედურებაა! — დაიწყო ვლასიმ, — ჩვენი მამები აიღებენ თუ არა ორიოდ გროშს, მაშინვე ღვინისკენ გასწევენ... ჩვენ, ჩემო გუთა, უნდა მოვიტხოვოთ ბეჩუ ხარბედიას სარდაფის დახურვა!

— მართალი ხარ, ვლასი! — დაუმატა გუთამ.

— ასეა, შვილო! — დაიწყო ისევ ხმაჩაწყვეტით. — ვინ იცის, რამდენჯერ თხრილში ჩავარდნილა, ვინ იცის, რამდენჯერ პირსისხლიანი მოსულა... შენ, შვილო, წელიწადში ერთხელ ან ორხელ ჩამოდიხარ და არ იცი როგორ იქცევა!

— არაფერია, დედი! ხვალღან იწყება ჩვენი კულტულაშქრობა და ბაბას წავიყვან, ვანახვებ ყველაფერს და, იმედი მაქვს, მიატოვებს.

* * *

გუთა და ვლასი შეუდგნენ მუშაობას. მათ დავალებული ქონდათ შესაფერი ღოზუნგების, პლაკატების დახატვა კარდონზე, ტილოზე.

მარიამს მიეძინა...

გარეთ ისევ ზუოდა ქარი...

რამდენიმე ხნის შემდეგ გაისმა რაღაც ყრუ ხმაური, ძახილი და ბოლოს გარედან ვილაცამ კარებს ბოთლი ესროლა.

ბოთლი მიიმსხვრა, და ნამსხვრევები ჩხრიალით დაცვივდა ძირს...

გუთა და ვლასი წამოდგნენ.

მარიამმა გაიღვიძა.

— რა ხმაური იყო? — იკითხა ნამძინარევი ხმით მან.

უცებ გაისმა გახას ხმა, და მოქნულმა მუშტმა ჩაღეწა ფანჯრის მინები...

— ბაბა, ბაბა! — დაიძახა გუთამ.

— გააღეთ კარი, თქვე ეშმაკებო! — იძახდა ის ისევ.

გატეხილ ფანჯრებში აწვივდა ქარი, და ცივმა ქარმა ააძაგადა ყველანი.

კარები გააღეს...

ღია კარებში ძლივს შემოფორთხდა გახა და იატაკზე დაეცა.

— გუთა, ბაბა, ამაყენე! — ღრიალებდა ის.

გუთა გონებადბნეული ძლივს მივიდა მამასთან.

— ამაყენე! შე... შე... — ჩაჰყვირა ისევ...

— დაანებე თავი მაგ ბავშს! ბავშთან რა გინდა!

— შესძახა მარიამმა.

— თქვენ გგონიათ მე... ვერ... ავდგები... აჰა, მიყურეთ... — სიტყვა გახამ და სცადა ადგომა, მაგრამ რამდენჯერაც აიწვია, იმდენჯერვე ჩაიშუხლა.

გატეხილ ფანჯრებში ისევ წიოდა ქარი, და იყინებოდა ოთახი.

ვლასიმ ძველი, ბუმბლიანი ბალიშით გამოტენა ფანჯარა.

გუთამ ააყენა გახა და ტახტზე დააწვინა.

გახამ ჯიბიდან ამოყარა პაპიროზის კოლოფები.

მას კბილებიდან სისხლი სდიოდა და შუბლიც გააწვრული ქონდა.

როცა შეამჩნია ტახტზე წამომჯდარი მარიამი, კვარტიანი შიგ შუბლში უნდოდა მოეხვედრებინა და ესროლა, მაგრამ ის კედელზე მიიმსხვრა...

* * *

გათენდა ბურუსიანი დილა.

ახმაურდა სოფელი...

დათოვლილი მთები აბრჭყვიალდა, და მთის საცალფეხო გზას დაწითლებული თვალებით ჩაჰყვენ მწყემსები.

მთის ძირას, დინამიტებით დახეთქილ-დარღვეულ კლდეებთან აბოლდა კირის ქარხანა...

უხარმაზარი ღუმელი მიწისფერ ბოლში იყო გახვეული...

გუთა დილაადრიაანად ამდგარიყო და გაყინულ გზებზე მიდიოდა. ილღიაში დროშები, პლაკატები ჰქონდა ამოჩრილი...

მისი თვალები სულ სხვანაირ სიხარულს იტევს, ნაბიჭი ჩქარია, გაბედული.

მას უხარია, რომ ამ ლაშქრობის მონაწილე ხდება...

ცივა. ქარი სისინებს. გუთა მინც მიდის წინ.

რუხ გზებზე, გაყინულ ტალახზე უსხლტება ფეხი.

ქოხები ზანტად ხრჩოლავენ თეთრად და იქიდან მოისმის ლეკვების წკმუტუნი, ბავშვების ტრირილი.

დარაბებიდან გამოვიდნენ ღამეუძინარი მსახურნი და თეფშების, ქვაბების ნარეცხ ცხელ, აორთქლილ წყალს ასხამდნენ იქვე ღელეში.

აძუტული, ფერდებჩავარდნილი მშვიერი ძუქნები ღრენით ეძებდნენ ძვლებს და გარბოდნენ თხრილებიდან.

გაიღვიძა სოფელმა.

ახმაურდა მუდამ ჩუმი, ჩინარების, ქანდრების და გაგრძელებული ჩრდილებით ჩაშავებული შუკები...

* * *

ჯერ კიდევ კარგა მანძილზე არ იყო მზე მაღლა ასული, რომ კლუბის ეზოში თავი მოეყარათ პიონერებს, კომკავშირელებს...

ერთი ჯგუფი ფიცრებზე აკრავს დილაადრიაანად მოტანილ სურათებს...

ვლასი პირაციინებული არიგებს პლაკატებს...

პირველი კოეზუნა

ვიგონებთ ისევ, პარიზის მკერდზე ცეცხლი რომ იყო გაჩაღებული. აქ ქალბატონი კი მტრის შესახებდრად ქონდათ გულები ამხედრებული.

ბარკადებზე ტყვიის ზუზუნის მზის სხივებივით გაიშლებოდა, შარავანდელით მოსულ ეპოქას კომუნარები ბრძოლით ელოდენ.

ბრძოლების შემდეგ სასახლეებზე მზეს უცინოდა წითელი დროშა, ორი თვე მაინც იყო ზეიმი, თავისუფალი სიტყვა და შრომა.

ვინ სთქვა — ჩაქრება პირველი ცეცხლი? შორს გვახევეია ურიცხვი მტერი, კომუნის საქმის სადარაჯოზე დღეს შეუპოვრად დგას კომინტერნი.

ილია ხოშტარია

მეორე ჯგუფი პიონერებისა კამათობს...

— ასეა, კოლა! დღეს ჩვენ მამებს უნდა შევაგნებოთ, რომ ლოთობა ჩვენი ჯანმრთელობის მტერია!

— მართალია!

— იმის ფასად უნდა გამოვაწერინოთ ჩვენი ურუნალები, მოვაწყოთ რადიო, ქოხ-სამკითველო...

ისმოდა ძახილი, დორორტოტოს ბლავილი და დოლის პრახუნია...

და შემდეგ კლუბიდან გამოვიდა კოლექტივის ხელმძღვანელი გრიშა ჯანაშია და დაიძახა:

— მოემზადეთ!..

* * *

მშვენიერი ამიდი დადგა... თბილოდა.

ოთხად ჩამწყარივებულნი მუსიკით გავიდენ ორ მთავარ ქუჩაზე.

მზის სხივებზე, წითელ ატლასზე თეთრად ბრწყინავდა ასოები:

„გაუმარჯოს კულტლაშქრობას!“

„წინ — სინათლისაკენ!“

„ძირს ლოთობა!“

წინ მიუძლოდათ ამხანაგი გრიშა ჯანაშია და შემდეგ გუია, ვლასი, რომელთაც ხელში დროშები ეჭირათ.

გახა თვალმდებარეობის ბული უყურებდა მომავალ თაობას.

თვალმდებარეობის, ფერმკრთალი ბეჩუ ხარბედია რალაც შურით უყურებდა ამ პლაკატებს...

ეს იმიტომ, რომ სწორედ ესენი მოითხოვდენ მისი სარდაფის დაკეტვას.

ისინი ჩვეულებრივ ხალისით, პირაცივებულნი მდიოოდენ ისევ და ბოლოს შუა მოედანზე შეიკრიბენ, სადაც ტრიბუნა იყო გაკეთებული.

გახაც წაყვა ამ ტალღებს, მხოლოდ ბეჩუ ხარბედია სადღაც მიიმალა.

ტრიბუნაზე ავიდენ ახალგაზრდები.

ილაპარაკეს გრიშა ჯანაშიამ, ვლასიმ, გუიამ...

გახამ სიხარულისგან არ იცოდა რა ექნა, როცა მისმა შეილმა ასე დაათავა სიტყვა:

— ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენმა მამებმა თავი დაანებონ სარდაფებში სიარულს, თუ ისინი ასე არ მოიქცევიან, ჩვენ ვაიძულებთ, რომ ასე მოიქცენ...

როცა გახამ ეს სიტყვები გაიგონა, უნებურად დაუკრა ტაში და სიხარულისგან „ვაშაც“ წამოცდა.

* * *

გახა გულგახარებული დაბრუნდა შინ.

ლოგინზე დახვდა ისევ ავადმყოფი მარიამი და წუხანდელი სიმთვრალით გაპარტახებული ნივთები...

მარიამმა მას მისვლისთანავე შეამჩნია, რომ რალაც უხაროდა.

— რა ამბავია, გახა?

— რა ამბავია და ვგმობ ლოთობას... შენ არ ხედავდი და ჩვენი გუია რომ გენახა, რეჩებს რო უნობდა, გაგებხარდებოდა... პირდაპირ ნასწავლი კაცივით აქნევდა ხელს და ჩვენ გვიკიჟინებდა ღვინოს ნუ სვამთო...

— აი, მაგას კი ენაცვალოს ღვინოსი!..

— მე რე და ჩვენი ვლასიც რომ არ ჩამორჩა... აი, ბავშვებიც მასეთი უნდა... დღეიდან ბეჩუს სარდაფს არ მივუკარებო...

ამბობდა ამას გახა გულწრფელად და სიხარულით აღფრთოვანებული...

არ გასულა დიდი დრო, და მოვიდა გუიაც.

გახა გადაეხვია მას, გადაჰკოცნა.

— ასე, ჩემო ბიჭიკო! მე შენ სიტყვებს ვიჯერებ, ვგმობ ლოთობას...

— ასე, ბაბა, ასე ბაბა!

უხაროდა გუიასაც, ეს იმიტომ, რომ წუხანდელივით გაღეშილი არ მოვა აწ შინ და არ დაამსხვრევს ბოთლებს, მინებს.


ლოგინიდან წამოიწია მარიამმა და დაუძახა:

— მოდი, ბიჭიკო, ბიჭუნი!

გუიაც მივიდა, და სიხარულისგან თვალაცრემღებული დედა მას კოცნით გადაეხვია.



პიონერების კულტ-ლაშქრობა.



მიხედოთ ოქტომბრულს!

მიმდინარე წლის დასაწყისში ტფილისში ჩატარებულ იქნა საქართველოს პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი, რამაც ჯამი გაუკეთა წარსულ მუშაობას და დასახა პიონერ-მუშაობის ახალი გზები. თათბირის ერთ-ერთი მთავარი საკითხი **ოქტომბრელთა შორის მუშაობა** იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ოქტომბრელთა შორის მუშაობაში ჩვენ მიღწევებთან ერთად ნაკლიც გვახასიათებს. **ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში ოქტომბრელების სათანადოდ ჩაბმა.** მეორეს მხრივ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ნ. პ. კოლექტივის ხელმძღვანელს ვერ გაუჩივია პიონერ-კოლექტივი ოქტომბრელთა ვარსკვლავისაგან.

პროვინციაში ყოფნის დროს ჩვენ გამოვარკვეით, რომ ოქტომბრელთა ვარსკვლავები თითქმის არსად არ არსებობდა (და თუ არსებობდა, ისიც მხოლოდ ქალაქებში) და ოქტომბრელთა შორის არავითარი სპეციფიური მუშაობა არ წარმოებდა, ასაკობრივი მდგომარეობა ხელმძღვანელებს მივიწყებოდათ, მას ანგარიშს არ უწევინ, რაც ყოვლად დაუშვებელია.


ოქტომბრელთა შორის მუშაობა **მარტო** საუბრებით, თამაშობებით და სიმღერებით ამოიწურება, ჩვენ კი ვიცით, რომ **მარტო** სიმღერებით და თამაშობებით ბავშვისაგან ვერ აღვზრდით საზოგადოებრივ ადამიანებს, რომელთაც უნდა დაამთავრონ ის სოციალისტური აღმშენებლობა, რომელიც ახალი ადამიანების ლენინის თაობამ ენერგიულად დაიწყო!

ამიტომ **აუცილებელია ოქტომბრელების ჩაბმა პიონერების საზოგადოებრივ მუშაობაში და ამით მათი შრომითი აღზრდა.**

საბჭოთა რუსეთში უკანასკნელ ხანებში ოქტომბრელები პიონერების საზოგადოებრივ საქმიანობაში ებმებიან (შაბათობები, სკოლა, საბავშო სახლი და სხვ.),

რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამგავალითები: სელენსკის რაიონის საბავშო ბაღის ოქტომბრელებმა შაბათობის მოწყობა გადასწყვიტეს. ბავშვებმა მოინდომეს ინვენტარის და ეზოს დასუფთავება. შაბათობის წინ ჩატარდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დასუფთავდეს ინვენტარი და ეზო. მთელი მუშაობა განაწილებულ იქნა ჯგუფებს შორის: ერთნი დანებს, ჩანგლებს და კოვზებს სწმენდდნენ, მეორენი ჩაის და სუფრის ჭურჭელს რეცხდნენ და სხვ. ყველაფერი თვითონ გააკეთეს და დიდის ხალისითაც! მუშაობდნენ მოწაფეები (5-8 წლის) და ოქტომბრელები.

ან: პიონერების ერთმა რაზმმა სკოლის ახლო ტროტუარის მოწყობის შაბათობა მოაწყო. ოქტომბრე-



აი როგორ ესმით ზოგიერთ ხელმძღვანელებს მუშაობა ოქტომბრელთა შორის!


ლებმა გადასწყვიტეს არ ჩამორჩენოდნენ პიონერებს და ყველანი მუშაობის ადგილზე გამოცხადდნენ ბარებით, კალათებით და პატარა ურმით. პიონერები აგურისაგან ტროტუარს აკეთებდნენ, ოქტომბრელები კი კალათებით ეზიდებოდნენ სილას და თიხას და მშენიერი ტროტუარი გააკეთეს, ეს კი საზო-

გადოებრივ-სასარგებლო შრომაა, რაც ხელს უწყობს ოქტომბრელთა შრომით აღზრდას.

მივბაძოთ რუსეთის ამხანაგებს და ჩვენც ჩავებათ ოქტომბრელები პიონერების საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვიმეორებთ, **მარტო** სიმღერებით და გასართობებით ვერ გავხდით მათ სოციალისტური აღმშენებლობისათვის სასარგებლო ადამიანებად.

დროა მივხედოთ ოქტომბრელებს, დროა ჩავებათ ისინი პიონერების საზოგადოებრივ მუშაობაში და ამით ნელ-ნელა მოვამზადოთ სოციალისტური საზოგადოების მშენებელნი.

ვ. ლ - ძე.



კოლექტივის დახმარება

ბორითის თემში (შორაპნის მაზრა) არსებობს ამხ. ს. **ორჯონიკიძის** სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი, რომელიც უღარიბესი გლეხის შვილებისგან შესდგება.

შევაგროვეთ ჟურნალ **პიონერი**-ს გამოსაწერი ფული, ვიწერთ 5 ცალს 3 თვით.

ამასწინად კოლექტივმა მიიღო დახმარება ქალაქ ტფილისიდან: 32 სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნი, 50 რვეული, 20 ფანქარი, 14 სხვადასხვა საღებავი, 1 ბოთლი მელანი და 10 საშლელი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბევრი არაფერი დახმარებაა, მაგრამ ისეთი ღირებულებისაა, როგორცაა ბორითის, დიდი დახმარებაა.

დამიტარი გამცემლიძე.

8 მარტი

უფლებობის სამარცხვინო ბორკილები, რომლითაც ათასი წლების განმავლობაში შებოჭილი იყო ქალი, იმსხვერპე პროლეტარული რევოლუციის მოხდენით. საბჭოთა ხელისუფლება საესებით უზრუნველყოფს ქალისათვის ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებას. ქალის წინაშე იშლება საზოგადოებრივი მუშაობის ფართე ასპარეზი. მას ენიჭება უფლება დაიჭიროს ყოველგვარი თანამდებობა სახელმწიფოებრივი მართებლობის აპარატში და აქტიურ წევრად შევიდეს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

დედაკაცის ხმა ცხოვრების ახალ ფორმათა აღმშენებლობაში ისევე მკვეთრად გაისმის, როგორც მამაკაცის.

ქალთა მოძრაობა არ არის დამოუკიდებელი. მუშა დედაკაცი პროლეტარ მამაკაცთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ებრძვის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. ბურჟუაზია, ითრევეს რა დედაკაცს წარმოებაში, თვით ქმნის ამით პირობებს მისი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. სამრეწველო ცხოვრებაში მონაწილეობა დაჟინებით აიძულებს ქალს დაადგეს კლასობრივი ბრძოლის გზას.

ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი, მიზნად ისახავს რაც შეიძლება ფართოდ ჩააბას ქალები მთელი ქვეყნის მუშათა კომუნისტურ მოძრაობაში, ამისათვის კი დაძლეული უნდა იქნეს ის მონური ტრადიციები, რითაც შებოჭილია მუშაქალი.

8 მარტს მუშაქალი დემონსტრაციულად უჩვენებს ყველას თავის კლასიურ კავშირს მთელი ქვეყნის მებრძოლ მუშათა კლასთან.

თავის საერთაშორისო დღეს მუშაქალები დღესასწაულობენ პროლეტარული რევოლუციის ცეცხლით გავარდარებულ ატმოსფეროში.

მუშაქალის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს პროლეტარი ქალების წითელ დროშებზე განსაკუთრებული ელვარებით უნდა ბრწყინავდენ ის ლოზუნგები, რომელნიც მხნედ მოუწოდებენ ყველა მშრომელს—დახმარება გაუწიონ მსოფლიო მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამორულ ბრძოლაში.

გაუმარჯოს მუშაქალთა საერთაშორისო დღეს!

ბავშკორი ზინა მაქსიმელაშვილი.

ეს პირველი ნაბიჯია ჩვენს თემში

ვის არ გაუგონია, რომ ქვემო ერწო ყველა თემზე ჩამორჩენილი თემია ტფილისის მაზრაში. იყო დრო, როდესაც ჩვენმა ახალგაზრდობამ არ იცოდა რას ერქვა კომუნისტური (ბ) პარტია და რას ისახავდა მიზნად ის.

1929 წლიდან აქ გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სასწავლებელი, სადაც 30-მდე გლეხის შვილი ვსწავლობთ; მასწავლებელი ნიკო სიჭინავას ხელმძღვანელობით აქვე დაარსდა კომკავშირის უჯრედი, რომელიც 40-მდე კომკავშირელს აერთიანებს. ჩამოყალიბებულია პიონერთა კოლექტივიც, რომელსაც ხელმძღვანელობენ მათივე ამორჩეული კომკავშირის წევრები. სულ პიონერთა კოლექტივში 70-მდე მოწაფეა.

ეს პირველი ნაბიჯია ჩვენს თემში და, იმედია, ამის შემდეგ წინ წავალთ.

ალ. კუდიანაშვილი.

ჩვენს ვეუზაოგში

(სოფ. ლიკანი)

სოფელ ლიკანში არსებობს ნ. პ. კოლექტივი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველ საქმეში და სოფლის აღორძინებისათვის ზრუნავს. ჩვენმა კოლექტივმა საბჭოთა არჩევნებშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა და არ ჩამორჩა სხვებს. **პიონერები დიდი სიხარულით არიგებდენ საარჩენო უწყებებს** და იწვევდენ მშრომელ მოსახლეობას საარჩენო დარბაზში.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება.

ბავშკორი ვ. ნათელაშვილი

ჩვენი კოლექტივის უოფა-სხოვრება

ქ. ქუთაისის მეორე ცხრაწლედთან არსებულ ამხ. **სტალინის** სახელობის კოლექტივში ჩამოყალიბებული გვაქვს სხვადასხვა წრე, სახელდობრ: **ულმერთოთა, სამხედრო და დღიურების შემსწავლელი წრეები**, სადაც წარმოებს ცოცხალი მუშაობა აგრეთვე მოწყობილი გვაქვს ქარგვა-ჭრა-კერვის სახელოსნო, სადაც გამოყენებულია ადგილობრივი მასწავლებელი; მოწყობილი გვაქვს სხვადასხვა კუთხე: **ლენინის, რევოლუციის ბელადების, რემედასის, ავიაქიმის, პიონერთა შემოქმედების და მწერალთა კუთხეები**; სისტემატიურად ვუშვებთ 2 კვირაში ერთხელ გაზეთს „მომავალი“; ჩავატარეთ კულტურული ლაშქრობა და ამ დროს გამოვუშვით 50 ცალი ჟურნალი, სადაც იყო მოთავსებული პიონერთა მოთხრობები, ლექსები და პიესები, გვყავს **ოქტომბრელები, რომელნიც მეცადინეობის დროს გამოყოფილი არიან პიონერებისგან; ოქტომბრელები დაყოფილი არიან ვარსკვლავებად, ისინი უშვებენ თვეში ერთხელ თავის კედლის გაზეთს.** ჯერჯერობით მუშაობა კარგია; იმედია, ჩვენი ხელმძღვანელი კომკავშირის დახმარებით გავალრმავებთ მუშაობას.

ნინა ხელიაია

ღამებობრება

ზაფხულის პაპანაქება დღეა. მდინარეში ცურაობენ ბავშვები, ერთმანეთს ეჯიბრებიან და გაჰკვივან ტალღებზე. ზოგი წყლის პირასაა გაწოლილი-სილაზე და მხეზე თბება. პატარა ხეთისოც მოემზადა მდინარეში გადასახტომად. თავის მეგობარს შესძახა:

— გიგა, ჩქერებს დავუყვით, არ დაგავიწყდეს, რომ შუა ჩქერებში წვეტიანი ქვებია, გაუფრთხილდი, არ დაეჯახო.

გალმა ნაპირიდან ხეთისომ დაინახა, რომ ჯარისკაცებმა ცხენები ჩამოიყვანეს მდინარეში საბანაოდ. მას ძალიან გაუხარდა; გადაეშვა წყალში და ნაპირისაკენ გასცურა. ხეთისოს არ ჩამორჩა გიგაც. მან მასთან ერთად ვაცურა მდინარე. ხეთისომ ჯარისკაცებთან მიიბრინა და სთხოვა:

— ძია, მომეცი ერთი ცხენი და მე ვაცურავებ მდინარეში.

— რომ გადმოგადღოს, მაშინ რას შერები?

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ძია, ცხენზე ჯდომა მე ძალიან კარგად ვიცი.

ჯარისკაცმა შეიწყნარა ბავშვის თხოვნა და მისცა ერთი ცხენი. გახარებულმა ხეთისომ ხელი მოჰკიდა, სწრაფად მოახტა ცხენს, ერთი მაგრად შეჰყვირა და წყალში ასკუბა. რადგან მდინარე იმ ადგილას ღრმა იყო, უცბად ყირამალა გადატრიალდა ცხენი, და ხეთისო ძირს ჩამოვარდა. წყალმა დაფარა ორივე. ყველას ეგონა, რომ ორივე დაიხრჩო; ცოტა ხნის შემდეგ ხეთისომ ამოჰყო თავი. მალე ცხენიც გამოჩნდა და ნაპირს მიაშურა. ხეთისო მივიდა ნაპირთან. გიგამ საჩქაროდ მიიბრინა ხეთისოსთან და შიშისგან ფერწასული მეგობარი სილაზე დააწვინა.

— ნამდვილი გიჟი ხარ, ხეთისო, ნამდვილი! ასეთ ღრმა წყალში განა შეიძლება გაქენებული ცხენის გადახტუნება?!

— მე ეგ სრულებით არ მიფიქრია, როცა ცხენს მოვახტი ზურგზე, — მიუგო ხეთისომ. — ეს არაფერია, შენ ის უნდა გენახა, ხიდიდან რომ გადმოვხტი. ორნი ვიყავით. ერთად გადავხტიო ხიდიდან. შემთხვევით დავეჯახეთ ერთმანეთს. მე ნაპირის ახლოს დავეცი წყალში, ქვას მუხლი ჩამოვკარი და გული წამივიდა.

მალე ამოგყურყუმელავდი წყლის ზედაპირზე და ისევ დავეშვი ფსკერისაკენ. ჩემი გაჭირვება ერთ-ერთმა მაყურებელმა შენიშნა თურმე. სწრაფად გადმოხტა, ფეხში წამავლო ხელი და ბურთივით ამომავლო ზევით.

ხეთისოს არ ჰქონდა თავისი თავგადასავალი დამთავრებული, როცა გიგამ წამოიყვირა:

— ხეთისო, ხედავ, ვილაცა იხრჩობა მდინარეში!

— აბა, საით?

— აი, იქ, ხიდის მახლობლად.

დაინახა თუ არა გაჭირვებული ბავში, ხეთისო მაშინვე გადახტა წყალში, სასწრაფოდ დაეწია ბავშს და ხელის კვრით მიაცურა ნაპირამდე. წყლით გაბერილი ბავში დიდი გაჭირვებით მიიყვანა რიყეზე, დააწვინა და დახმარება აღმოუჩინა. მაყურებლებს ძალიან გაუკვირდათ ხეთისოს გულადობა.

დაღრჩობას გადარჩენილი ბავშვის გარშემო ხალხი შეგროვდა. ყველა ცდილობდა მისი ვინაობის გამოკვევას.

გზად მიმავალი ერთი მოქალაქე ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. დაინახა თუ არა შეგროვილი ხალხი, იქეთკენ გაეშურა. თავქვე ჩამოკიდებულ ბავშს მასაჟს უკეთებდნენ. ამის დანახვზე მოქალაქეს თვალეზი დაუბნელდა, მაგრამ მალე გამოერკვა და დაიყვირა:

— გამიშვით, ჩემს კოტეს ეს რა მოსვლია? მიშველეთ, დავიღუპე!

— ძია, ნუ გეშინია, თქვენ შვილს არაფერი უჭირს, მალე მოსულიერდება, — ამშვიდებდა ხეთისო. — ის ძლივს გამოვტაცე აბობოქრებულ ტალღებს.

მოქალაქემ სიხარულით ხმა ვერ ამოიღო, მადლობის თქმაც ვერ მოახერხა. ამ დროს ბავშმა თვალეზი გაახილა. აღფრთოვანებულმა მამამ შესძახა:

— შვილო, კოტე, ცოცხალი ხარ?!

ცოტა ხნის შემდეგ ეტლი მოიყვანეს და მამაშვილი ჩასვეს შიგ, ხეთისოც გაჰყვა მათ. ეტლი მალე მივიდა კოტეს სახლთან. კოტეს დედა ამ დროს პატარა ბავშს ათამაშებდა ეზოში. როცა ფერწასული კოტე დაინახა, გული შეუღონდა. უნდა შეეკივლა, მაგრამ ხეთისომ დაასწრო თქმა:

— დედი, თქვენს კოტეს საშიში არაფერი სჭირს, ნუ გეშინიათ.

კოტე შეიყვანეს სახლში და საწოლში ჩააწვიანეს. ხვთისო მალე გამოეთხოვა ბავშის მშობლებს. შეჰპირდა, რომ ხშირად ინახულებდა კოტეს.

— სად მიგჩქარება, შვილო, დაიცადე კოტა ხანს, — უთხრა კოტეს დედამ, რომელმაც ამოიღო ფული და ხვთისოს შესთავაზა. ხვთისომ უხერხულად იგრძნო თავი და უთხრა:

— დედი, ეს რა არის?!.

როგორ გეკადრებათ. ჩვენი პიონერული წესდება ამას არ გვიკარნახებს, რომ გაჭირვებულთა დახმარებისთვის გასამრჯელო ავიღოთ. დედი, ჩემი თხოვნაა ამ ფულით კოტეს უყიდოთ რამე ჩემი მეგობრობის აღსანიშნავად.

— კარგი, შვილო, კარგი, ჩემო კეთილო ბავშო. ამ პატივისცემას მე არ დაევიწყებ.

ხვთისო გამოემშვიდობა კოტეს მშობლებს და შინ წავიდა.

კოტეს მთელი დღის განმავლობაში თავს დასტრიალებდნენ მშობლები. ის მალე გამოკეთდა. გაიკო თავისი თავგადასავალი და ძალიან დაინტერესდა ხვთისოს ვინაობამ; მოუთმენლად ელოდა მის ნახვას.

რამდენიმე კვირის შემდეგ კოტეს მამამ ორი ველოსიპედი შემოაგორა ეზოში — ერთი კოტესთვის და მეორე ხვთისოსთვის. გახარებული კო-

ტე მივარდა ველოსიპედს და სინჯვა დაუწყო. სადამო იყო, როცა ხვთისომ ეზოს კარები შემოაღო და კოტეს დაუძახა.

კოტეს დედამ იცნო ხვთისოს ხმა და შეილს უთხრა:

— აგერ ის ბიჭიც, შენ რომ გადაგარჩინა დღე-ღამე.

კოტე ხვთისოსაკენ გაეშურა.

— გამარჯობა, კოტე, როგორ ხარ, ხომ კარგად გრძნობ თავს? — უთხრა ხვთისომ.

— გმადლობთ, კარგად ვარ! — მიუგო კოტემ და სახლში შეიყვანა.

— აი, შვილო, ორივეს ერთნაირი საჩუქრი გიყიდეთ. ამის შემდეგ თქვენ განუყრელი მეგობრები უნდა იყოთ. ჩემო ხვთისო, შენ ჩემი მეორე ვაჟი იქ-

ნები. მიგულე ისე, როგორც შენი ერთგული მამა, — უთხრა კოტეს მამამ.

ხვთისოს ძალიან გაუხარდა. მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა კოტეს მშობლებს და მალე სიხარულით აღფრთოვანებული წავიდა შინ ველოსიპედით.

ამის შემდეგ კოტე და ხვთისო განუყრელი მეგობრები იყვნენ...

შალვა ესებუა.




მოხსენება 8 მარტზე მე-40 კოლექტივის პიონერებთან

პიონერული ლაშქრული

იქ, სადაც წვერმაღალ მთის ძირი იწყება,
იქ, სადაც ბილიკებს ჩაურბის რუ,
პიონერთ ძახილი, პიონერთ სიმღერა
ველიდან ველებზე გადადის, ქუხს:
„დროშები ფრიალებს,
წითლადა ნალები,
მტერს გავატიალებთ
თოფ-ზარბაზანებით!

მთაში და ველზედა, სად „ჭისი“ ანთია,
სად მწვერვალს ჩქერებად სხივს ესვრის მზე,
ხალისით გავყურებთ ქარხნებს და განთიადს,
ბრძოლების დროსაც ჩვენ ვიქნებით მძლე.
ვიბრძვით და ჩვენ გვიყვარს
შრომა და სიცოცხლე!
ძველი ვერ გაგვრიყვას,
ეს ყველამ იცოდეს!

და ამგვარ ბრძოლისთვის, გვწამს, ბევრი
გვემღურის,
რისთვისაც გამოწვევს ჩვენსკენა ხელს!
მაგრამ ეს ლაშქრობა მტკიცე და მხედრული
მტრის მიმართ არის, და კიდევაც ვძლევეთ!
დროშები ფრიალებს,
წითლადა ნალები!
მტერს გავატიალებთ
თოფ-ზარბაზანებით!“



ჩემი პირველი უახვადრა კობასთან

ეს მოგონება 1905 წელს ეკუთვნის.

იმ დროს, როდესაც მოწაფეთა უმრავლესობა ჭარბი გრძნობების დასაოკებლად ლოთობას მიმართავდა და როცა თითოეული ახალგაზრდა თავის თავს უმსგავსოდ ჰქურდავდა, — ჩვენ, ერთი გუნდი ახალგაზრდობისა, მაღალი იდეის სიყვარულით ვიყავით ანთებული... თავი გამოდებული გვექონდა და თვითმპყრობელობის და მდიდრების წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობას ვაწარმოებდით.

უფროსი ამხანაგები უფრო გვახალისებდნენ და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას გვაკისრებდნენ. მათი ნდობა იქამდეც კი მივიდა, რომ გადაწყვიტეს მე დავებლოვებინეთ **კობასთან** (ასე უწოდებდნენ მაშინ სტალინს).

იგი მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო და ტფილისში ფარულად ცხოვრობდა... მე დევნილ რევოლუციონერთა შორის კავშირის გამამყვლად უნდა გადავქცეულიყავი.

მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. თუ მარჯვედ მოვიქცეოდი, ჯაშუშები ჩემზე ექვს ადვილად ვერ მოიტანდნენ და ბევრი კონსპირატიული საქმის გაკეთებას შევძლებდი.

წინათაც ბევრი რამ მსმენოდა ჩვენს „კომიტეტზე“. ჩემს აზროვნებაში კომიტეტი და კობა სინონიმებს წარმოადგენდნენ.

და, აი, დადგა დრო, როცა შემეძლო კობას პირისპირ შეხვედრა.

ბევრს ვფიქრობდი „კომიტეტზე“ და მისი გარკვევით, მკაფიოდ წარმოდგენა მიძინებდებოდა.

ფეხაკოეფით მივდევდი იმ გამოცდილ კონსპირატორს, რომელსაც კობასთან უნდა მივეყვანე.

აი, მივადექით ერთს სახლს...

იგი ძველის-ძველია.

კედლები დახეთქილი, ბათქაშაცვივნილი...

ასე საცოდავია გარეგნულად ეს სახლი, მაგრამ...

მნიშვნელობით, შინაარსით იგი დიდია...

აქა მაღარო რევოლუციაზე შეფიცულთა გულებისა...

ამ შენობაში ცხოვრობს ის, რომელიც მთელ ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელობს...

რეგვენი, რეგვენი ჟანდარმერია...

იმასა ჰგონია არგუსის თვალები აქვს და ვერავინ ვერსად გაიჭაჭანებს იმის შიშით...

ნამდვილად კი ერთი თვალიც არა ჰქონია სალი...

მას ვერ შეუნიშნავს, რომ სწორედ ქალაქში, აი ამ სახლში ცხოვრობს კაცი და ამზადებს ნაღმებს მათ ასაფეთქებლად...

რეგვენი, აბუეტი ჟანდარმერია...

დაუდგეს მას ბეცი თვალები, დაუდგეს, დაუდგეს...

შეველით ალყაფის კარიდან...

ეზოდან უარე'ი სანახავია ეს სახლი...

გავიარეთ ეზო, ბნელი კიბეებიდან აველით მეორე სართულში...

აქ ერთი წუთით შევიცადეთ და ჩემმა წინამძღოლმა სამჯერ დააკაკუნა...

ღუმილი...

კვლავ გავიმეორეთ დააკაკუნება...

შიგნიდან მოისმა ფეხის ხმა, და ვილაცა ქალმა კარი გაგვიღო...

ჩვენი ნართაული სიტყვა „ბეთალი“ იყო და ის ვიკითხეთ. გასჭრა პაროლმა...

ქალმა წელან მოღუშვით შემოგვხვდა, ახლა კი ნათელმა ღიმილმა გადაპკრა... მოგვიტკბა... იგრძნო, რომ „მოყვასები“ მიველით და შეგვიწვია სახლში...

კვლავ გავიარეთ დერეფანი და ერთ პატარა ოთახში შეველით...

საკვირველი მეჩვენა ყველაფერი.

გარეთ ხომ ჯერ ისევ დღე იყო, აქ კი დარბები მიეხურათ და ოთახში ღამფა ენთო... უეჭველია, სიფრთხილისთვის მიმართავდნენ ამ ფანდს.

ვილაცა ხმელ-ხმელი კაცი მაგიდას მისჯდომოდა და წერდა... შუბლის კოპები შეეკრა...

ეტყობოდა, მძლავრ ფიქრთა დენას მისცემოდა.

არასოდეს მენახა კობა, მაგრამ მაშინვე მიხვდები, რომ სწორედ ეს იყო ის პიროვნება, რომლის ნახვა ისე დიდხანს მენატრებოდა.

ვერც კი მოვასწარი კობას დათვალიერება, რომ ჩემმა თანამგზავრმა კობას გამაცნო:

— ესეც ჩვენი პატარა მეგობარია.

კინალამ გული ამომიფრინდა მკერდიდან და ქვეყანას ამცნო:

— მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ!..

მე მეღირსა იმ ადამიანის ნახვა, რომელსაც თვალისთვის უხილავი, მაგრამ ფოლადზე მაგარი ჯაჭვით კავშირი აქვს გაბმული მუშებთან და მშრომელ გლეხებთან...

იგი მათ ამზადებს იმ დიადი ამბებისთვის, რომლის წინაშე გამკრთალდება ყველა წინა რევოლუცია.

კობამ შემომანათა თავისი გამჭრიახი, დიდი მიხედრილობის თვალები და ვიკითხე, რომ მწონილა, მაფასებდა...

იგი ჩემზე ფიქრობდა: რამდენად შევძლებ, სრულიად ახალგაზრდა, მძიმე ტვირთის ზიდვას, პარტიის საიდუმლოს დაცვას, თავგანწირულებას, სიამაცეს?..

— დიდი, დიდი პასუხისმგებლობა გიკისრია, ძამიკო!.. განა შესძლებ მაგის შესრულებას?.. რომ იჯაბნო?.. — მეკითხებოდენ კობას გამომცდელი და გამომეტყველი თვალები...

მე მას თამამად შევხედე... თვალი თვალში გავუსწორე და... კობას გაეცინა... გულკეთილად გაეცინა კობას.

აშკარაა, რომ გამოცდა დავიჭირე... კობამ უკვე სრულიად თავისიანად ჩამთვალა და გააბა მეგობართან მნიშვნელოვანი საუბარი მუშათა მოძრაობის შესახებ, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

მან წაიკითხა ის „პროკლამაცია“, რომელიც ის არის დაეწერა და ჩემი თანამგზავრისთვის უნდა გაეტანებინა საიდუმლო სტამბაში.

აი სად იწერება და დასაბეჭდად ვის მიაქვს ის ფურცლები, რომლებსაც ჩვენ, ახალგაზრდები, ყველგან ვფანტავდით და უამრავად გადავაფრიალებდით ხოლმე თეატრის ქანდარიდან პარტერში ბურჟუაზიის შესახარიალებლად...

ჩვენ შევთანხმდით, რომ ამიერიდან კომიტეტის წევრთა შორის კავშირის გამბეჭდად მე ვიქნებოდი. კობამ პაროლად მომცა „ჭაკატო“.

— აბა, შენ იცი, როგორც გამოიჩენ ვაჟაკობასო, — მითხრა მან იმ ხმით, რომელშიაც ფოლადის სიმტკიცე ჩანდა, და გამომისტუმრა...

მე საკუთარ თვალშივე ავმალდი, გავიზარდე... უკვე ვიცი პაროლი ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა...

მე უდიდესი რევოლუციონური ლაშქრის საიდუმლოების გასაღები მამარია.

მე შემიძლია გმირი გამოვიდე.

იმაზე გმირი, ვიდრე იყო ლალიაშვილი, რომელმაც ერთი ტყვიით გააგრა სემინარიის ყრანტი რექტორი ჩუღეცკი...

მაგრამ მევე შემიძლია რევოლუციის დაზარალება...

მაგრამ რა ჭკვაში მოსასვლელია ეს შეშლილი აზრი:

განა მე, ჩემი დედიკოს, მრეცხავი სალომეს შვილი, გავცემ რევოლუციას?..

არასოდეს, არასოდეს!..

მე ლამაზად დავიწყე ახალგაზრდობა და უფრო ლამაზად განვაგრძობ...

იარად ორბივით განვახლდები ხოლმე თავისუფლებისთვის ბრძოლაში და დალილობის მწკლარტე სუნი არასოდეს არ დამამძიმებს...

ყველა ყველა და ის პაროლი კი არ დამავიწყდეს...

მივდივარ აფრააშლილი სიხარულით და უხმოდ ვიმეორებ:

— ჭაკატო, ჭაკატო, ჭაკატო!..

აჲ, ეს რასა ნიშნავს?..

აგერ მოსახვევიდან პოლიციელები...

ღრუბელსავით მოაბნელებენ.

ჩემამდე უკვე მოახწია მათი სქელი ღრუნჩიდან წამომტყვრალმა დამპალმა გინებამ...

მე პირველად მუხლთ მომეჭრა, მაგრამ მალე გავმხნევედი... დავძაგრე წერვები და პაროლიც გავისხენე, რომ არ დამვიწყებოდა... ხელები ჯიბეში ჩავიყავი და ავარასავით სტვენით ჩავუარე...

ვხედავ, რომ მათ უცინის ცულლუტი, მღვრიე თვალები... უცინის მოწანწალე თვალები...

იგინი დაჯერებით ამბობენ:

— ჩვენ ვერავინ ვერსად გავგეჟცევა, ვერავინ მოგვატყუებს...

მე კი ირიბად ვუყურებ მათ და ვემუქრები.

— მოიცადეთ, ქოფაკებო, მალე გეტირებათ დედა. ჩვენ უანგარიშონი ვართ...

თითოეულმა ჩვენგანმა მარტო თითო სოლიც კი რომ ჩაუქედოს წყვდიადის ღვედებით შეკრულ ძველს ქვეყანას, — სულ მთლად დავწყვეტთ იმ ღვედებს, ყავარ-ყავარ დავაპობთ ძველ ქვეყანას...

ისინი გაფაციცებით დაეძებდენ მტერს და მაინც ყურადღება არ მოუქცევიათ ჩემთვის, რადგან სალახანად მოვაჩვენე თავი...

ყოჩაღ, ჩემო თავო, საკმაო მოხერხება გამოიჩინე...

გასწი, გაფრინდი, შენს წინ არის გრძელი გზა, ლამაზი გაზაფხული დიადი პროლეტარული რევოლუციისა.

ასე ვიწყე ნაკისრი მოვალეობის შესრულება.

როგორც კომპასის ისარი მარად ჩრდილოეთისკენ არის მიმართული, — ისე ჩემი თვალები მუდამ მტერს ზვერავენ, რომ ჩვენს საუნჯეს, მუშების თავისუფლების საქმეს, არავინ მიჰპარებოდა მუხანათურად.

მრავალი ბრძოლის დიდი მანძილის გავლის დროს ენტუზიაზმი იყო ჩვენი თანამგზავრი.

...და დღეს, როცა ვუყურებ კობას სურათს, როცა გავისხენებ იმას, რომ ეს კაცი ოდესღაც ერთი ბეწო ოთახში იყო გამომწყვდეული და ისე ხელმძღვანელობდა მუშათა მოძრაობას, ახლა კი იგი ხელმძღვანელია იმ შტაბის, რომელიც მსოფლიოს გასაბჭოებას ახდენს, — მე, პროლეტარული რევოლუციის მოლაშქრეს, განუსაზღვრელად მხარებს ეს ამბავი.

დ. თურდოსპირელი



როგორ წარმოიშვა აღმნიანი

პირველყოფილი *) ადამიანის იარაღს ჯოხი და წვეტიანი ქვა წარმოადგენდა.

მართლაც, ადამიანი მით განსხვავდება ცხოველებისგან, რომ ის ხელოვნურ იარაღს აკეთებს.

მეცნიერმა ფრანკლინმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში სთქვა: „ადამიანი ცხოველია, რომელიც იარაღს აკეთებს“. ფილოსოფოსმა ბერგსონმა კი (რომელიც მარქსის მოძღვრებას არ იზიარებს) აღიარა, რომ უფრო სწორია „ადამიანი—ხელოსანია“, ვიდრე „ადამიანი—შეგნებულია“.

ეხლა ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, მოგვეპოვება თუ არა იმის ფაქტები, რომ მაიმუნებს შეუძლიათ იარაღის კეთება. საქმე ისაა, რომ დღეს მეცნიერებამ ამის ნიმუშებიც იცის.

ბერლინელმა პროფესორმა ვოლფგანგ კელერმა დაამტკიცა, რომ მაიმუნს შეუძლია ხელოვნური იარაღის გაკეთება.

დავასურათოთ ეს მნიშვნელოვანი მიღწევა:

პროფესორ კელერს ჰყავდა რამდენიმე მაიმუნი. მას აინტერესებდა საერთოდ გამოერკვია მაიმუნთა ნიჭი. მრავალთა შორის, კელერმა ერთ მაიმუნზე, რომელსაც „სულთანი“ ერქვა, მოახდინა ასეთი ცდა: საჭმელი ჩამოჰკიდა ძალიან მაღლა. მაიმუნმა „სულთანმა“ შენობაზე ასასვლელად და შემდეგ საჭმლამდე მისაღწევად დასაყრდნობად ჯოხი გამოიყენა. აგრეთვე „სულთანმა“ ერთმანეთს დაადგა ყუთები და ამნაირად აღიოდა შენობაზე. ცხადია, ყუთები ყოველთვის სწორად არ იყო დაწყობილი და ის ხშირად იშლებოდა, მაგრამ ზოგჯერ იმდენად მოხერხებულად აწყობდა, რომ შესძლო შენობაზე ასვლა.

ამის შემდეგ კელერმა გალიაში მოათავსა ბამბუკის ორი ჯოხი (სხვადასხვა სიგრძის და სიდიდის) და საჭმელი. ჯოხები ისეთ ადგილას დევს, რომ მაიმუნს შეუძლია მისი აღება. მაიმუნი აიღებს ერთ ჯოხს, მეორეს—ცალცალკე, წვალობს, მაგრამ ამის საშუალებით ვერ შესძლო საჭმლის თავისკენ გამოცოცება. შემთხვევით, როდესაც მაიმუნს ორივე ჯოხი ხელში უკავია, ხედავს, რომ ისინი გახვრეტულია—ერთს მეორეში ჩასვამს; სუსტად ჩასმს გამო მეორე ჯოხი მოვარდობა, მაგრამ შემდეგ მაგრაუ ჩასწვეს და ეხლა კი ამ ორმაგი, გრძელი ჯოხით მაიმუნი ახერხებს საჭმლის თავისკენ წამოღებას; ამას გამო „სულთანი“ იშვიათი სიხარულით გამოიყურება.

პროფესორი კელერი ამითაც არ დაკმაყოფილდა. ეხლა იმდენად მოკლე ჯოხები დაუწყო, რომ ორი ჯოხის შეერთებული სიგრძე არ კმაროდა; „სულთანმა“ სამი ჯოხის ერთად შეერთებაც შესძლო.

ხემაღლიშნულზე უფრო მნიშვნელოვანია უკანასკნელი ცდა: მაიმუნის განკარგულებაში იყო ბამბუკის ჯოხი და განიერი სახაზავი. მაიმუნმა აიღო ჯოხი—მოკლე აღმოჩნდა; აიღო ჯოხი და სახაზავი ერთად, მაგრამ, ცხადია, სახაზავს ჯოხზე ვერ მოათავსებდა. მაიმუნმა ეს დაბრკოლებაც გადალახა: კბილებით მოკბიჩა ზემდეტი სიგანე სახაზავს და შესძლო სახაზავის და ჯოხის შეერთება. ამნაირად მაიმუნმა მიზანს მიაღწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით კელერს მაიმუნისათვის პირველად არც ერთ შემთხვევაში არ უნიშნებია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, არამედ საჭმლის საშოვნელად შრომაში მაიმუნმა ხელოვნურ იარაღს მიმართა და ის საუკეთესოდ გამოიყენა.

ყოველივე ეს ამტკიცებს დარვინის მოძღვრებას და საერთოდ მეცნიერებას, რომელიც ყოველგვარი რელიგიის დაუნდობელი მტერია და ამ უკანასკნელს დღითიდღე ანადგურებს.

მეცნიერება პასუხს იძლევა ყველა იმ საკითხზე, რომელშიც ბევრნი ვერ ერკვევიან და ცრუმორწმუნეობის, ძელი ყოფა-ცხოვრების მსხვერპლი ხდებიან. ამის გამო ჩვენი მოვალეობაა შევითვისოთ და გავავრცელოთ მეცნიერული ცოდნა. ამისთვის კი საჭიროა მუდმივი და ბეჯითი მუშაობა და წრებში (წიგნის წაკითხვა, ლექცია) საუბარი.

მარქსი ამბობდა: „სარწმუნოება საწამლავია ხალხისთვის“. აი ამ საწამლავის წინააღმდეგ უებარი წამალია მეცნიერული ცოდნის გავრცელება ჩვენს ქვეყანაში.

არ კმარა მორწმუნეებს უთხრათ ღმერთი არ არსებობსო, არამედ უნდა უპასუხოთ რატომ არ არსებობს, რითი მტკიცდება ეს. მორწმუნეთ უნდა გუჩვენოთ ცოცხალი მაგალითი, რომ გვალვას შველის არა ხატი და ჯვარი, არამედ მელიორაცია (მოსარწყავი არხების გაყვანა), მრავალ საკვირველ ამბავს ახდენს მეცნიერება და ტექნიკა (რადიო, კონვეიერი, 100-ზე მეტ სართულიანი სახლები, მოლაპარაკე კინო და სხვ).


აუცილებელი მეცნიერული ცოდნის შეთვისების გარეშე შეუძლებელია მარქსისტ-ლენინელობა, ვინაიდან მეცნიერება, კერძოდ დარვინიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველია.

მხეცები ცაზე.

ცაზე მართლა არიან მხეცები, მაგრამ ნამდვილი მხეცები კი არაა, არამედ „ვარსკვლავის“, ე. ი. ისინი ვარსკვლავების ჯგუფებს წარმოადგენენ. გავიხსენოთ დიდი დათვი. ცხადია, ყველას უნახავს ცაზე დიდი დათვი. მისი მთავარი ვარსკვლავებია 7 კაშკაშა ვარსკვლავი, მის გარდა ცაზე არის პატარა დათვი, ლომი, ვერძი, კურო, თხისრქა და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით, მთელი სამხეცეა! ვარსკვლავების სხვადასხვა ჯგუფს ძალიან დიდი ხნის წინ დაერქვა მხეცების ეს სახელები. ამ თანავარსკვლავედთა მთავარი, ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავები მხეცების ტანს არ წააგავს, მაგრამ ადამიანმა უკვე ორი ათასი წლის წინ დაარქვა მათ ეს სახელები და დღესაც ცაზე გვაყავს ჩვენ ეს „მხეცები“.

როგორ მოვნახოთ ჩრდილოეთი?

ცაზე ადვილი მოსანახავია დიდი დათვის თანავარსკვლავი. სად უნდა მოვძებნოთ იგი? ცის ჩრდილოეთ ნაწილში. დიდ დათვის რომ ვიპოვნით, მის ორ განაპირა ვარსკვლავს შორის ხაზი გავიყვანოთ და გავაგრძელოთ იგი, მაშინ ცაზე დავინახავთ ერთ ვარსკვლავს (იხ. ნახატი),



რომელიც პატარა დათვის ჯგუფს ეკუთვნის. ეს არის პოლარული ვარსკვლავი. ახლა პერპენდიკულარი ჩამოვუსვით პორიზონტის ხაზზე. წერტილი „ჩ“ იქნება ჩრდილოეთის წერტილი. მაშასადამე, ვინც იცის სად არის პოლარული ვარსკვლავი, ის უკომპასოდაც შესძლებს ჩრდილოეთისაკენ წასვლას და თუნდ დაბურულ ტყეში იყოს, გზას მაინც გაიკვლევს.

მოხეტიალე ვარსკვლავები.

ახლა თითქმის ყველამ იცის, რომ დედამიწა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, მუდამ სწრაფად ბრუნავს და თან ირგვლივ უტრიალებს მზეს. ჩვენი მიწა პლანეტაა, ე. ი. „მოხეტიალე მნათობია“. მაგრამ დედამიწის გარდა მზის გარშემო ტრიალებს კიდევ სხვა შვიდი ცდომილი ანუ პლანეტა: მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სა-

ტურნი, ურანი და ნეპტუნი. ყველა ეს ცდომილი, როგორც ჩვენი დედამიწა, შავი, ბურთისმაგვარი სხეულებია, რომლებსაც მზე ანათებს. ჩვენი დედამიწა თვითონ არ ანათებს, ის, როგორც მთვარე, მზის ანარეკლი სხივებით ანათებს. ჩვენ რომ გაფორინდეთ დედამიწიდან ძალიან შორს, — ჯერჯერობით ეს არ ძალგვიძს, მაგრამ ამ მხრივაც უკვე წარმოებს მუშაობა და მეცნიერება ცდილობს ამ საკითხის დადებითად გადაჭრას, — და მერე გადმოვხედოთ დედამიწას, ის მოკაშკაშე ვარსკვლავად მოგვეჩვენება. მაშასადამე, ცდომილებიც ვარსკვლავებად უნდა გვეჩვენებოდეს. მაგრამ ცდომილები მზის გარშემო ტრიალებენ და ამიტომ ცაზე ხან ერთ ადგილას არიან, ხან მეორე ადგილას. იუპიტერი ტყვიისფერი მოჩანს, მარსი — მოწითალო, ვენერა — ვერცხლისფერი. დავიხსოვოთ ისიც, რომ უმთავრესად ცივ ღამეებში ვარსკვლავები ძალიან ციმციმებს, ცდომილები კი, პირიქით, თითქმის არც ციმციმებს.

ვენერა — სალამოს ვარსკვლავი.



ინანრიდან აპრილის შუა რიცხვებამდე ვენერა სალამოობით ანათებს. მისი მონახვა ადვილია, ვინაიდან ძალიან ბრწყინავს. მას „სალამოს ვარსკვლავიც“ ეწოდება, რადგანაც ზოგიერთ წელს მაშინვე

გამოჩნდება ცაზე, როგორც კი ჩავა მზე. ვენერა თითქმის ჩვენი დედამიწის ოდენაა. ტელესკოპით ძნელია მასზე რაიმეს დანახვა, იმდენად გვიშლის ხელს მისი სიკაშკაშე.

ვარსკვლავთმრიცხველნი და ასტრონომები.

ამ ხუთი ათასი წლის წინ პლანეტებს ღმერთებად ანდა ღვთის ნების შიკრიკებად სთვლიდნენ. ამიტომ მაშინაც ძალიან გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს მათ მოძრაობას. იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეჭირა ამა თუ იმ დროს პლანეტას რომელიმე თანავარსკვლავედში, ცდილობდნენ გამოერკვიათ რომელიმე ადამიანის ბედ-ილბალი.

საშუალო საუკუნეებში ძალიან გავრცელებული იყო ე. წ. ასტროლოგია. მასში იყო აღწერილი წესები, რომლებითაც უნდა ეწინასწარმეტყველებიათ ხოლმე, პლანეტების მდგომარეობის მიხედვით.

ადამიანის ბედ-ილბალზე ყველა პლანეტა ერთნაირ გავლენას როდი ახდენდა. მაგალითად, სატურნს უბედურება, ვაი-ვაგლახი მოქონდა, იუპიტერს კი ბედნიერება, სახელი XVI-XVII საუკუნეებშიც კი დიდი გასავალი ჰქონდა ასტროლოგიას საბედნიეროდ, მე-XVIII საუკუნის დიადმა ასტრონომიულმა აღმოჩენებმა ბოლო მოუღო ცრუ მეცნიერებას. ამჟამად, ცხადია, უკვე აღარავის არა სწამს, თითქოს ვარსკვლავებსა და პლანეტებს შეეძლოთ ადამიანის ბედ-ილბალზე გავლენის მოხდენა, თუმცა ყრუ სოფლებში ახლაც გაიგონებთ: „ვარსკვლავი მოწყდა, ვილაცა მოკვდა“ ანდა: „კრუხი ახალ მთვარეზე დავსვი, და კვერცხები გალაცდა“. ახლა ასტროლოგია აღარ არის, სა-

მაგიეროდ არის ასტრონომია, ე. ი. მეცნიერება ვარსკვლავების, პლანეტების, კომეტების შესახებ, მთელი სამყაროს აღნაგობის შესახებ. პიონერი უნდა ებრძოდეს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და ამიტომ მან კარგად უნდა იცოდეს ასტრონომია.

სიცოცხლე დახურულ ჭურჭელში.

ყვავილების მოყვარულებს შემჩნეული ჰქონდათ პირველი შეხედვით მეტად უცნაური ფაქტი: ახლად ჩარგული ყვავილი უკეთ იზრდება, თუ მას ზევით დავახურავთ მინის ჭურჭელს, რომელშიც ჰაერი ვერ შევა. ამ მო-



ვლენის მიზეზი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოკვლეული. ამასწინად ამერიკელმა პროფესორმა რაიმონდ უოლესმა გამოარკვია, რომ მცენარემ, ისეთ გერმეტიულად დახურულ ჭურჭელში მოთავსებულმა, რომელშიც არ შედიოდა ჰაერი და არც წყალი, მთელ 10 თვეს გასძლო. ეს ყვავილი მზის სინათლეზე იყო დადგმული. როგორც ეტყობა, მზის სხივები ახდენდა დიდ გავლენას ამ მოვენლაზე... მცენარე ხარჯავს ნახშირბადს, მყავბადს კი ამოისუნთქავს. შესაძლოა სინათლისა და სითბოს ზეგავლენით ქიმიური პროცესი ხდება ამ ჭურჭელში და მყავბადის გამოყოფასა და ნახშირბადის შთანთქმას შორის წონასწორობა მყარდება, რაც ხელს უწყობს მცენარის ზრდას. ცხადია, მნიშვნელობა აქვს ბაქტერიებსაც, რომლებიც მრავლად არიან იმ მიწაში, რომელშიც არის მცენარე ჩარგული. წყლის ორთქლი ამ მიწის ჭურჭლის კედლებზე ილექებოდა, ძირს ჩადიოდა, მერე მათ მცენარე შეისუტავდა, და მერე ისევ ორთქლად იქცეოდა.

ასე ცოცხლობდა ყვავილი უწყლოდ და უჰაეროდ, გერმეტიულად დახურულ მინის ჭურჭელში.

პიონერებო! იყიდეთ ყვავილის თესლი, ჩაის ჭიქაში ჩაყარეთ შავი მიწა, დაასხით საკმაო წყალი, ჩათესეთ ყვავილი, აღმოაცენეთ, ეს ჭიქა დადგით მინის ფირფიტაზე და შემდეგ დაახურეთ რაიმე ჭურჭელი (მინის). რომ ჰაერი არ შევიდეს, ლუქი დაასხით მინის ჭურჭელს იქ, სადაც ის მინის ფირფიტაზეა დადებული. დააკვირდით. რა მოუვა ყვავილს.

პლანეტათა შორის მიმოსვლა.

დღევანდლამდე აეროპლანებს შეეძლოთ ასვლა მხოლოდ 12-13 კმ., ანგარიში კი გვიჩვენებს, რომ გიგანტურ ჰაეროპლანს, რომელიც 50 ტონას იწონის, შეეძლო ბერლინიდან ნიუ-იორკში მიფრენილიყო 28 საათში, თუკი 16 კმ., სიმაღლეზე იფრენდა. აქედან წარმოიშვა აზრი, შეიძლება თუ არა ამისათვის გამოყენებულ იქნეს ნავი - მაშხალა, რომელიც მოძრაობაში მოდის, როგორც ჩვეულებრივი მაშხალა. ამაზე ბოლო წლებში არა ერთხელ შეჩერებულა ზოგიერთი სწავლულის აზრი.

გერმანელმა ასტრონომმა და აერონავტმა **მაკს ვალტერმა** მიიპყრო ყურადღება თავისი მტკიცებით იმის შესახებ, რომ მფრინავი მანქანების ახალი ტიპის გამოყენება მოგვცემს შესაძლებლობას ავიდეთ 160 კმ. და მეტ სიმაღლეზე. ვინაიდან ჰაერის წინააღმდეგობა ამ სიმაღლეზე უმნიშვნელოა, გაფრენის სიჩქარე მეტისმეტად დიდს იქნება.

ვალტერი ფიქრობს, რომ მხოლოდ ისეთ აპარატს, რომლის მოძრაობა სრულებით არ იქნება დამოკიდებული ირგვლივ მყოფ ჰაერის წინააღმდეგობაზე, შეუძლია ძალიან მაღლა აფრენა ცის სივრცეში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ აპარატი შესძლებს განავითაროს საკმაო სიჩქარე.

პლანეტათა შორის მიმოსვლის საკითხს, მაშხალების მოხმარებასთან დაკავშირებულს, დიდი ყურადღება ეთმობა. თუ 10-15 წლის წინ ეს იდეა მხოლოდ რამდენიმე კაცს აინტერესებდა, ამ დარგში ახლა უკვე მეცნიერული მუშაობა წარმოებს.

„უსისხლო ომი“

ამერიკელი ქიმიკოსი **ეგლოუ** წინადადებას იძლევა კი არ მოისპოს ომი, არამედ **უსისხლო ხასიათი** მიეცეს მას. მომავალი ომი, როგორც ამტკიცებს ეგლოუ, იწარმოებს მხოლოდ **უშხამოდ** (მაგ. ქლოროფორმით). ეგლოუ ასწერს მომავალი იმპერიალისტური ომის ზოგიერთ სურათს: „ქლოროფორმით შეიარაღებული აეროპლანების თავდასხმის დროს ორი ტონა ქლოროფორმი საკმაო იქნება მთელი საარმიო კორპუსის დასაძინებლად. ამით კი მებრძოლი მხარეების მეომრები დალუპვას გადაარჩებიან. გამარჯვება იქნება იმ არმიის მხარეზე, ვისაც მეტი დაუძინებელი მეომარი დარჩება.

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ განუხორციელებელი წინადადების ავტორი იმაზე კი არ ფიქრობს, რომ შეიარაღება და იმპერიალისტური ომი მოისპოს, არამედ — ომის მავნებლობის შემცირებაზე. ამაზეა ნათქვამი: წყალწალღებული ხავს ეჭიდებოდაო.

ჩვენ ვიცით ყველა ასეთი წინადადების რეალური ღირებულება და ამიტომ უფრო მჭიდროდ ვირაზმებით საჭიროების დროს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საბავშვო კომუნარი



სახელები

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, გ. ლუარსაბიძე,
ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე.



ქართული

1929 წ.

გამოდის

გამოდის

საყმაწვილო დასურათებულ

→ უურნალები ←

მთავარი

პიონერი

ორკვირული

IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

უურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კპ.

მცირეფორმისათვის

„მკბომბრელი“

ყოველთვიური

II წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

- გადაგზავნით { „მკბომბრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სასეფგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „მკბომბრელი“-ს რედაქცია